თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თელავი

N 9
28/02/2020

9-09-4-202002281803

თელავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის პროგრამული ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა“ ფარგლებში პროექტების შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

1. დამტკიცდეს თელავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის პროგრამული ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა“ ფარგლებში პროექტების შერჩევის წესი დანართი №1-ის შესაბამისად.

2. დამტკიცდეს კონკურსანტის მიერ წარსადგენი განაცხადისა და სააპლიკაციო ფორმა დანართი №2-ის შესაბამისად.

3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში (მისამართი: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ. №41).

გიგა ორკოდაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე - მ.შ.
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო